

შემუშავებულია 16.04.2018 №21 რეგენი
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დამტკიცებულია: 20.04.2018
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, მირითაძე საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. ეს წესი არეგულირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მირითაძე საგანმანათლებლო ერთეულების დეკანების, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების წესს.

2. წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) რექტორს ირჩევს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

2. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აქვეყნებს განცხადებას – რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ. განცხადება ქვეყნდება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 კვირისა. არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

3. განცხადებაში აღინიშნება არჩევნების ვადები და პირობები.

4. კანდიდატების რეგისტრაციას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

5. აკადემიური საბჭო განიხილავს კანდიდატთა დოკუმენტებს, მათ შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. დოკუმენტების განხილვის შემდგომ აკადემიური საბჭო ატარებს კანდიდატთან/ებთან გასაუბრებას დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში. გასაუბრება ტარდება ზეპირი ფორმით, რომლის მიზანია კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენა

ვაკანტური თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან. არადამაკმაყოფილებელი დოკუმენტების მქონე კანდიდატი/ები კარგავს მომდევნო ეტაპზე - გასაუბრებაზე გასვლის უფლებას .

7. კანდიდატთან/ებთან გასაუბრების შემდგომ ტარდება რექტორის არჩევნები. რექტორი აირჩევა სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით 4 წლის ვადით.

8. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭო აცხადებს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნებს. განცხადებაში აღინიშნება არჩევნების ვადები და პირობები.

9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე ყველა პირი, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

მუხლი 3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შერჩევა/დამტკიცება.

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აქვეყნებს განცხადებას – ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ. განცხადება ქვეყნდება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 კვირისა. არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან უგვიანეს 1 თვის ვადაში.

4. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო კონკურსის საფუძველზე ფარული კენჭისყრით შერჩეულ კანდიდატს დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს. წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატის წარდგენის შემდეგ, ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. განცხადება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს იმ კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი. კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ამტკიცებს აკადემიური საბჭო შესაბამისი აქტით.

4. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: საბუთების განხილვა და გასაუბრება. კონკურსის პირველ ეტაპზე აკადემიური საბჭო ადგენს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მქონე კონკურსანტი კარგავს მომდევნო ეტაპზე გასვლის უფლებას და ეთიშება კონკურსს.

5. გასაუბრება ტარდება ზეპირი ფორმით, რომლის მიზანია კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.



6. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის ზედიზედ ორჯერ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ცხადდება ახალი კონკურსი.
7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა

1. აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად.
2. განცხადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს საკონკურსო პირობებსა და ვადებს. კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ამტკიცებს აკადემიური საბჭო შესაბამისი აქტით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის განცხადებების რეგისტრაციას და კონკურსის წესით აკადემიური საბჭოს მიერ შერჩევას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
4. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ცხადდება ხელახალი კონკურსი.
5. წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 5. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა

1. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.
3. ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს განცხადებას თანამდებობის დასაკავებლად პირობებისა და ვადების შესახებ.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით.
5. კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ამტკიცებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო შესაბამისი აქტით.
6. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოს მიერ კანდიდატის შერჩევის ფარულობას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.



მუხლი 6. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის არჩევის წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის აკადემიური თანამდებობის მქონე ყველა პირი და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანი აირჩევა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპის დაცვით ოთხი წლის ვადით.
3. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანს თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო.
4. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საკონკურსო განცხადება მოიცავს საკონკურსო პირობებსა და ვადებს.
5. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს განცხადება უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.
6. კანდიდატების რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა მიმდინარეობს არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 კვირის განმავლობაში.
7. არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან არუმეტეს 1 თვის ვადაში.
8. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების გამოცხადება

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წევრთა არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.
3. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას და განისაზღვრება 4 წლით.
4. არჩევნების პირობები და ვადები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარება და უფლებამოსილების ცნობა



1. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს.
2. ახლად არჩეული აკადემიური საბჭო პირველსავე სხდომაზე ცნობს არჩეულ წევრთა უფლებამოსილებას.
3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის (ორი წელი) გასვლის შემდეგ.
4. აკადემიური საბჭო უფლებამოსილების ცნობიდან ერთი თვის ვაში ირჩევს სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც შედის წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში.

მუხლი 9. ბიბლიოთეკის წარმომადგენლის არჩევა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენელი (სამეცნიერო ხელმძღვანელი) არის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით (ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ხანგრძლივობით) 4 წლის ვადით.
2. კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევის წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნებს ნიშნავს-რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.
3. წარმომადგენლობითი საბჭო აირჩევა სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
5. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3-ს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.
7. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას და განისაზღვრება 4 წლით.



8. არჩევნების პირობები და ვადები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 11. სპიკერის არჩევა.

1. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს თავისი რიგებიდან არაუმეტეს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით 4 წლით.
2. კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით კანდიდატთა წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.
3. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების უმრავლესობას.

მუხლი 12. დავის გადაწყვეტა

არჩევნებთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დეკანების, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს წარდგინებით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

